



## გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

კონკურსის მეშვეობით ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 86.19.28.075) განსათავსებელი ახალი ადმინისტრაციული შენობის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის განცხადება და ტექნიკური დავალება

### საკონკურსო დოკუმენტაცია

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის 3 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

2015 წელი

## საკონკურსო განცხადება

1. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს არქიტექტურულ და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. კონკურსის მიზანია ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 86.19.28.075) ახალი ადმინისტრაციული შენობის საუკეთესო ესკიზური პროექტის გამოვლენა და შემდგომში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ხელშეკრულების საფუძველზე სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

**3. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 20 000 (ოცი ათასი) ლარს.**

4. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (<http://procurement.gov.ge>).

**5. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:**

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, მე-4 ან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

## **8. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს:**

### **იურიდიული პირისათვის :**

ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ.

### **ფიზიკური პირისათვის :**

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთი;

გ) ცნობა სასამართლოდან რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

დ) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არქონის შესახებ.

როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირებისათვის:

### **როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

ა) სატენდერო წინადადების ხელის მომწერისთვის გაცემული მინდობილობა (დაურთეთ საჭიროებისამებრ);

ბ) კონკურსანტის საკონკურსო წინადადება აუცილებლივ უნდა შეიცავდეს „დანართი #1“-ში ასახულ ინფორმაცია/დოკუმენტაციას და უნდა აკმაყოფილებდეს მასში მითითებულ მოთხოვნებს სრულად;

გ) კონკურსში მონაწილეს უნდა გააჩნდეს ბოლო სამი წლის განმავლობაში (2012 წლის 01 იანვრიდან) მინიმუმ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცი(ებ)ის შედგენის ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება (წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ანალოგიური მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ხელშეკრულებ(ებ)ის და მიღება-ჩაბარების აქტებ(ებ)ის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესით დამოწმებული ასლ(ებ)ი)...

ასევე ერთი ანალოგიური ტიპის რეალიზებული პროექტი რომელიც დაპროექტდა კონკურსანტი პრედენდენტის მიერ და მოხდა მისი სამშენებლო სამუშაოების წარმოება (აშენება)-(შესაბამისი საპროექტო-სამშენებლო მიახლოებითი ღირებულებით).

9. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ.

არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თვიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. აღნიშნული მონაცემები შესაბამისი უწყებებიდან მიღებული უნდა იქნას საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

10. საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2015 წლის 25 მაისს 17:00 საათზე.

11. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2015 წლის 04 ივნისს 16:00 საათზე.

12. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2015 წლის 04 ივნისს 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: გულუას ქ. № 6, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, ადმინისტრაციული სამსახურის, შესყიდვების განყოფილება მე-6 სართული.

12. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

13. ანგარიშსწორება გამარჯვებულ კონკურსანტთან განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ, წარმოდგენილი საპროექტო-სადარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის დადებითი დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 კალენდარულ დღეში.

14. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის პირველად ექსპერტიზას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით. საჭიროების (საპროექტო დოკუმენტაციის პირველადი ექსპერტიზის წუნის გამოვლენის) შემთხვევაში განმეორებითი ექსპერტიზის ღირებულებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

15. საკონკურსო წინადადების შეფასებისას საკონკურსო კომისია იხელმძღვანელებს – საკონკურსო წინადადების ფასის, კონკურსანტის გამოცდილების (კვალიფიკაციის), გასაწევი მომსახურების სავალდებულო ვადისა და საპროექტო შენობა/ნაგებობის არქიტექტურული დიზაინის/ვიზუალიზაციის კრიტერიუმების მიხედვით:

საპროექტო შენობა/ნაგებობის არქიტექტურული დიზაინი/ვიზუალიზაცია: კოეფიციენტი – 0.5

საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.3

კონკურსანტის გამოცდილება: კოეფიციენტი – 0.2

შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით, საკონკურსო წინადადება შეფასდება საკონკურსო პირობებში ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და კრიტერიუმების პრიორიტეტულობის კოეფიციენტის მიხედვით. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

გამარჯვებული არქიტექტურულ-ესკიზური პროექტის (დიზაინის პროექტი) გარდა, კონკურსანტებს მოთხოვნის შემთხვევაში დაუბრუნდებათ 10 დღეში.

## კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს.

**დიზაინისა და საორიენტაციო პროექტის შესაფასებლად:**

შენობის 3D ვიზუალი (რენდერები);

ტექნიკური დავალების შესაბამისად შედგენილ არქიტექტორულ-ესკიზური პროექტი (გეგმარება გათვალისწინებული შენობაში განსათავსებელი თანამშრომლების საშტატო ნუსხის მიხედვით (დანართი №5)) ;

ტერიტორიის კეთილმოწყობის ესკიზური გენგეგმა -დატანილი შენობების და პარკინგის ადგილებით (იხილეთ დანართი);

ფასადზე გამოყენებული მასალის ჩამონათვალი (ცენტრალურ ფასადებზე გამოყენებული მასალები კლიმატური პირობების გათვალისწინებით).

საპროექტო შენობებისა და ეზოს კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა (სავარაუდო თანხა 350 000 ლარი)

**ზოგადი ინფორმაცია**

რეკვიზიტები დანართი №1-ს შესაბამისად;

საკონკურსო წინადადების ფასი (დღგ-ს ჩათვლით) და ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ დანართი №2, №4-ს შესაბამისად;

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების გაწევის შესახებ დანართი №3-ს შესაბამისად;

შენიშვნა: დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ერთ დალუქულ კონვერტში ბეჭდური ვარიანტი (A3 ფორმატი) და ელექტრონული ვარიანტი PDF ფორმატშიალობის სახით ნაბეჭდი ვერსია A3 ფორმატზე, 3-ეგზემპლარად ; CD- ვერსია PDF - ფორმატში - 3 ეგზემპლარად, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს;

2. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

3. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

**შენიშვნა**

1. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეში სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

2. საჭიროების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები რენდერებსა და სართულის ესკიზური გეგმებში.

3. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

4. საკონკურსო პირობებთან და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია შემდეგი საკონტაქტო პირისგან: მიხეილ ბელოძე, ვახტანგ ტალახაძე; ტელეფონი 032 2 720 116; 595 000 444; 599 040 409;

### **ტექნიკური დავალება**

ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 86.19.28.075) ახალი ადმინისტრაციული შენობის სრული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება:

საპროექტო შენობის ფართი საორიენტაციოდ შეადგენდეს 350 მ<sup>2</sup>-ს, რომელიც გადანაწილებული უნდა იყოს ორ სართულზე (სარდაფის საჭიროება დაზუსტდეს პროექტირებისას გეოლოგიური მონაცემების შემდგომ). მიწის ნაკვეთის ტერიტორიის ფართი შეადგენს - 1513.0 მ<sup>2</sup> რომელზეც უნდა დამუშავდეს ტერიტორიის კეთილმოწყობის და საპროექტო შენობის მიზმის პროექტი, გასათვალისწინებელია რომ ტერიტორიაზე მოხვედრა ხორციელდება ვაჟა-ფშაველას ქუჩის მხრიდან არსებული გზით, შენობის პროექტირებისას კონკურსანტმა უნდა გაითვალისწინოს მიწის ნაკვეთზე საავტომობილო ტრანსპორტის სრულად გადაადგილება მთლიან მიწის ნაკვეთზე. ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი უნდა ითვალისწინებდეს: ავტო-სადგომს, ტერიტორიის ავტომატურ გამშვებ პუნქტებს, საბაღე სკამებს, ღობის მოწყობას, მთავარ შესასვლელთან უნარშეზღუდულ პირთა პანდუსის მოწყობას, გარე განათების ლამპიონებს და გამწვანებას, ასე გარე სასაწყობო შენობას და საჯარიმო ავტოსადგომს. პროექტირებისას გათვალისწინებული უნდა იყოს მიწის ნაკვეთის სიახლოვეს მდებარე გაზსადენის უსაფრთხოების ნორმები.

შენობის დაპროექტებისას აუცილებელია პროექტანტმა გაითვალისწინოს შენობის პირველი სართულის სრულად აღჭურვა უნარშეზღუდულ პირთათვის. ასევე ტექნოლოგიური ნახაზების მომზადება როგორც არქიტექტურულ ასევე საინჟინრო ნაწილშიც.

პროექტის მომზადებისას საპროექტო შენობაში განსათავსებელი სამსახურების არქიტექტურული და საინჟინრო ნაწილები მომზადდეს საერთო და ცალკე პუნქტების სახით, რაც შესაბამისად აისახოს ხარჯთაღრიცხვო მონაცემებშიც.

საპროექტო შენობებისა და ეზოს კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა (სავარაუდო თანხა 350 000 ლარი).

#### **თანდართული დოკუმენტაცია:**

1. შენობაში განსათავსებელი თანამშრომლების სამტატო ნუსხა;

2. ტერიტორიის საკადასტრო გეგმა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტო მასალა;

შენობის პროექტირებისას კონკურსანტი ვალდებულია პროექტის გეგმარებითი საპროექტო სამუშაოები დაამუშაოს დამკვეთთან (შემსყიდველთან) კონსულტაციების შედეგად და თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით.

გამარჯვებული პროექტანტის მიერ წარმოსადგენი მუშა დოკუმენტაცია ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 კალენდარულ დღეში:

1. საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.
2. ტოპოგრაფიული გეგმა ახალი ანაზომი 1:500 (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, არსებობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით) ხელმოწერილი და დამოწმებული შესაბამისი ფორმით.
3. არქიტექტურული პროექტი (მუშა დოკუმენტაციით/გეგმები, ფასადები, ჭრილები, კვანძები, სპეციფიკაციები, ფასადებისა და ინტერიერის ფრაგმენტული რენდერები).
4. ტექნოლოგიური ნახაზები(ავეჯების განლაგების ჩვენებით).
5. ვერტიკალური გეგმარება.
6. კონსტრუქციული პროექტი.
7. ვენტილაციის პროექტი.
8. გათბობა-გაგრილების პროექტი. (მოთხოვნაა ცენტრალური გათბობა და ინდივიდუალური კონდიციონერება)
9. ელექტრობის პროექტი (შიდა და გარე ქსელი, გარე და შიდა ვიდეო სისტემის მოწყობა, სუსტი დენები, სახანძრო სიგნალიზაცია).
10. შიდა წყალ-კანალიზაციის პროექტი, გარე კანალიზაციის სისტემის პროექტის და ანტისეპტიკის მოწყობა საბოლოო დაერთებით (საჭიროების შემთხვევაში).
11. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.
12. ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია:
  - ა) არქიტექტურული პროექტი; ბ) სანტექნიკური პროექტი; გ) დენდროლოგია.
13. მშენებლობის ხარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია .
14. საავტორო ზედამხედველობა.
15. ტერიტორიის გარე სანიაღვრე-სადრენაჟო სისტემის პროექტი საბოლოო დაერთებით (საჭიროების შემთხვევაში).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა :

ა) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ალბომის სახით

ნაბეჭდი ვერსია A3 ფორმატზე 4-ეგზემპლარად

ბ) CD - ვერსია (ელექტრონული) PDF - ფაილის სახით 4-ეგზემპლარად.

საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა იყოს მოცემული კონკურსით გათვალისწინებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადები.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით. აქვე კონკურსში გამარჯვებულმა პრედენდენტმა საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების დროს უნდა გაითვალისწინოს ყველა ტექნიკური ტოკუმენტაციის მომზადების შესაბამისობა შემდგომში ნებართვის გამცემ ორგანოებში მისაღებად. ხარვეზისა და წუნის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებული ვალდებული იქნება გაითვალისწინოს აღნიშნული და წარმოუდგინოს შემსყიდველს სრულყოფილი დოკუმენტაცია.

**რეკვიზიტები:**

პრეტენდენტის იურიდიული ფირმის დასახელება;

ხელმძღვანელის სახელი და გვარი;

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;

საიდენტიფიკაციო კოდი;

ბანკის კოდი;

ანგარიშის ნომერი;

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;

ელექტრონული მისამართი;

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი

7. ბასაწეში მომსახურების უსაპის ცხრილი

№	დასახელება	საპროექტო მომსახურების ღირებულება	საპროექტო მომსახურების მიწოდების ვადები
1	საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევა.		
2	ტოპოგრაფიული გეგმა ახალი ანაზომი 1:500 (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, არსებობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით) ხელმოწერილი და დამოწმებული შესაბამისი ფორმით.		
3	არქიტექტურული პროექტი (მუშა დოკუმენტაციით/გეგმები, ფასადები, ჭრილები, კვანძები, სპეციფიკაციები, ფასადებისა და ინტერიერის ფრაგმენტული რენდერები).		
4	ტექნოლოგიური ნახაზები (ავეჯების განლაგების ნახაზები).		
5	ვერტიკალური გეგმარება.		
6	კონსტრუქციული პროექტი.		
7	ვენტილაციის პროექტი.		
8	გათბობა-გაგრილების პროექტი. (მოთხოვნაა ცენტრალური გათბობა და ინდივიდუალური კონდიციონერება)		
9	ელექტრობის პროექტი (შიდა და გარე ქსელი, გარე და შიდა ვიდუო სისტემის მოწყობა, სუსტი დენები, სახანძრო სიგნალიზაცია).		
10	შიდა წყალ-კანალიზაციის პროექტი, გარე კანალიზაციის სისტემის პროექტის და ანტისეპტიკის მოწყობა საბოლოო დაერთებით (საჭიროების შემთხვევაში).		
11	მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.		
12	ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია: არქიტექტურული პროექტი; სანტექნიკური პროექტი; დენდროლოგია.		
13	მშენებლობის ხარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია		
14	საავტორო ზედამხედველობა.		
15	ტერიტორიის გარე სანიაღვრე-სადრენაჟო სისტემის პროექტი საბოლოო დაერთებით (საჭიროების შემთხვევაში).		
	<b>სულ ჯამი</b>		

პრეტენდენტის დასახელება -----  
 თანამდებობა, სახელი, გვარი -----  
 ხელმოწერა და ბეჭედი -----

**შენიშვნა:**

- სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
- გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ფასების ცხრილი. ფასების ცხრილი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების შესახებ

№	მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	CMR-ის ნომერი SPA- ნომერი	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი
1	2	3	4	5	6	7

შენიშვნა:

- ა) ცხრილის მე-4 სვეტი ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი მომსახურება გაწეულია შემსყიდველი ორგანიზაციის დაკვეთით და ხელშეკრულება ატვირთულია შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში;
- ბ) შემსყიდველი უფლებამოსილია ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების სახით პრეტენდენტისაგან მოითხოვოს გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ხელშეკრულებებისა და მიღება-ჩაბარებების აქტების/ან სახვა სახის რაიმე დოკუმენტის წარმოდგენა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

პრეტენდენტის დასახელება -----

თანამდებობა, სახელი, გვარი -----

ხელმოწერა და ბეჭედი -----

საკონკურსო წინადადება

თარიღი: \_\_\_\_\_ წ.

(კონკურსის ჩატარების თარიღი)

ვის:

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: \_\_\_\_\_

(კონკურსანტის დასახელება)

გავეცანით რა საკონკურსო დოკუმენტაციას, თანახმა ვართ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად განვახორციელოთ \_\_\_\_\_ და

(შესყიდვის ობიექტის აღწერა)

გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად: \_\_\_\_\_ ლარი.

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ \_\_\_\_\_ გაწევა ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და

(მომსახურება)

დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების („შემდგომ ხელშეკრულება“)

ძალაში შესვლიდან \_\_\_\_\_ დღის განმავლობაში.

(დღე, თვე, წელი)

წინამდებარე საკონკურსო წინადადება ძალაშია \_\_\_\_\_ დღის განმავლობაში დაწყებული

შემდეგი თარიღიდან: \_\_\_\_\_.

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილი ვართ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონსა, „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების შესახებ“ დებულებას და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებას და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.